№ 163. 19 აგვისტო, პარასკევი. 1866—1883 19 აგვისტო, პარასკევი. № 163.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»
«დროების» ფასი
მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი.»)

17 აგვისტოს.

**არხანგელსკი.** 15 აგვისტოს კერძო ორთქლის გემი «გიორგი» წავიდა კარის ზღვაში უამბოდ დაკარგულის გოლანდიის პოლიარული ექსპედიციის საძებნელად.

**პრესბურგი-ვენგრია.** გუშინ გროსმაგენდორფში მოხდა უწესობები ებრაელების წინააღმდეგ; რამდენიმე ებრაელების სახლი და სავაჭრო შენობები გაცარცვეს და დაანგრიეს; გაქცეულებს სცემდნენ.

**პეტერბურღი.** ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესს რესკრიპტში სრული გულითადი მადლობა გამოუცხადა დიდს მთავარს ვლადიმირ ალექსანდრეს-ძეს ყოველ მხრივ კეთილ განწყობისათვის ჩინებული გვარდიის ჯარებისა და პეტერბურღის სამხედრო ოლქისა, რომელნიც კრასნოესელოს ბანაკის მანევრების დროს მისს დიდებულებას წარუდგნენ საუკეთესო მდგომარეობაში; ხელმწიფემ განსაკუთრებითი კმაყოფილებით შენიშნა წარმატება სხვა-და-სხვა იარაღის ხმარების სწავლაში, რომელიც აკმაყოფილებს ნამდვილს ბრძოლის მოთხოვნილებათა, და ოფიცრების გონივრულად საქმის მოპყრობაში.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** იარმარკის ვაჭრობას შარშანდელზე 40%-ით ნაკლებს ანგარიშობენ, კარგათ გაიყიდა ფურცლოვანი რკინა, სორტის რკინის საქმე ჯერ არ არის ცნობილი; ციმბირის ბეწვეულობა კარგ ფასად გაიყიდა; კოლონიალური და ბანდიტერის საქონლით კარგად ვაჭრობენ, ჩითებით, მაუდით და აბრეშუმეულობით ნელა, მხოლოდ წითელ ჩითებს უიდელობენ ბლომად; ბამბა გაიყიდა: ბუხარისა 1500 ცალი $7^3/_4$ მანეთად, ხივისა 500 ცალი $8^1/_2$ მანეთად; რადგანაც მყიდველები ცოტანი არიან, ამისთვის ფასის დაწევას მოელიან. სპარსული ბამბა ბევრია მოტანილი, მაგრამ არ გაყიდულა, ფასი ჯერ არ დასდებია; ბამბის ნაქსოვები კრენგოლმის მანუფაქტურისა ძალიან ბევრი გაიყიდა 17 მან. და 75 კოპ. ფუთი; ბანკების ვალების გადახდა კარგად მიდის, თუმცა საზოგადოდ ფულის ნაკლებობა სჩანს; ამბობენ, რომ ვითომც ზოგი ვაჭრები არ გასწორებულიყვნენ და ისე წასულიყვნენ, მაგრამ ეს ხმა ჯერ დამტკიცებას თხოულობს.

**პარიჟი.** ზოგიერთა სახლებზე გაუკრავთ პროკლამაციები, რომლებითაც იწვევენ მოქალაქეთა. შეერთდეთ ლიუდოვიკ ფილიპე II ტახთანაო. პოლიციამ დაგლიჯა პროკლამაციები.

**ტულუზა.** ცეცხლის წაკიდებით გადიწვა რამდენიმე წისქვილი, ბევრი პური დაიწვა; ზარალი ორი მილიონი ფრანკისაა.

**ზაგრეპი.** ზემო ტუბიცაში ხალხმა ჩამოგლიჯა სახლებიდამ სახელმწიფო ზეწარწერები და ნოტარიუსს ძალ-დატანებით ხელი მოაწერინეს განცხადებაზე, რომ კეთილს ხორვატელებს არ შეუძლიანთ მადიარები იყვნენო. გუშინ იყო აქ საკმაოდ ძრიელი მიწის შენძრევა გრგვინვით.

**პეშტი.** ათასამდე სოფლელებმა, დაიარაღებულებმა ცულებით და თოფებით, ბევრი დუქნები გაცარცვეს ზალადერში.

**კოპენჰაგენი.** დანიის მეფე მიდის დღეს სრულიად რუსეთის იმპერატორის და იმპერატრიცის მისაგებებლად. დანიის დედა-ქალაქი ემზადება მათ დიდებულებათა კარგად მიღებას.

ვიდრე ხელმწიფე დანიაში იქნება, მის დიდებულებასთან სამყოფლად დანიშნულნი არიან: ერთი გენერალი, ერთი ადმირალი და ერთიც გვარდიის პოლკოვნიკი.

**ლონდონი.** ოფიციალური ტელეგრამა ბოტავიიდამ გვაცნობებს, რომ წყლის მოვარდნისგან, რომელიც კრაკატოაზე ვულკანის ამოხეთქას მოჰყვა, ევროპიელების უბანი სულ დაინგრა და ბევრი ევროპიელი და ადგილობრივი მცხოვრები დაიღუპა. მატერიალური ზარალი დიდია. ზონდის სრუტში ყველა მაიაკები გაჰქრენ უკვალოდ.

### შენიშვნა
### სოფლის თვით-მმართველობაზე.

(დასასრული *)

თეორეთიკულ სჯას რომ თავი დავანებოთ და თვით-მმართველობას შევხედოთ პრაქტიკულის მხრით, საზარელს სურათს შევეტაკებით. თუმცა თვით-მმართველობის კანონები მეტად მარტივნი და ადვილად შესასწავლნი არიან, მაგრამ იშვიათად თითოოროლა მოხელე პირებმა თუ იციან ეს კანონები, თორემ უმეტეს ნაწილად, არც მამასახლისებს და არც მსაჯულებს არა გაეგებათ-რა თავიანთ უფლებისა, მოვალეობისა. ამისაგან წარმოსდგება ის არეულ-დარეულო-

*) იხ. «დროება» № 162.

---

«დროების» ფელეტონი, 19 აგვისტ.

## შინ და გარეთ

ბოდიში მკითხველთა წინაშე.—დავვიანებული საუბარი: „დროების" საჩხერელი კორესპონდენტი და მისი ჯალათი, პირველის შეურაცხყოფა მოქმედებით და მეორესი მამაცობა.—გაზეთი «კავკაზი» ცემა-ტყეპის დამცველი.—ჩხარში სკოლის გარდაწვა სოფლელებისაგან.—ამ გვარ მოვლენათა მიზეზები.—ქართული გაზეთის რედაქტორი ინგლისის ჟურნალ-გაზეთობის ისტორიიდამ.—ამერიკელი გაზეთები და მათი წარმომადგენლი.—ამერიკელი რედაქტორი.

ჩვენ გვსურს ვებაასოთ ამ ფელტონში მკითხველებს ძველს საგნებზე, რომლებიც, შესაძლებელია, უკვე დავიწყებას მისცა მკითხველმა. თუ მკითხველს მეხსიერებამ უმტყუნა, სამაგიეროდ, ჩვენ იმ გვარ საგნებს არას დროს არ ვივიწყებთ, რადგანაც ჩვენ მიერ არჩეული საგნები ისეთი უმნიშვნელო და წვრილმანი არ არიან, რომ მათი გულიდგან ამოფხვრობა შეიძლებოდეს მეტადრე მაშინ, როცა მათი მიზეზი, რომელსაც შეუძლია იმ გვარივე სამწუხარო გარემოებები აღმოაცენოს, განუწყვეტლივ და დაუბრკოლებრივ არსებობს.

მაშ მოგითხრობთ, მკითხველო, ძველს ამბებს და გთხოვთ მისმინოთ; ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენ დააკვირდებით ჩვენს ნაამბობს და გაგვიზიარებთ ჩვენ გრძნობას. წარსულ წლების განმავალობაში «დროებაში» იბეჭდებოდა, სხვათა შორის, კორესპონდენციები დაბა საჩხერიდგან, რომლების ავტორი თავის ვინაობას არ აცხადებდა საქვეყნოთ. რასაკვირველია, ყოველი გაზეთის შენიშვნა, რაც უნდა მცირე იყოს იგი, ყოველთვის გამოიწვევს მოძრაობას, ლაპარაკს იმ ადგილს, რომლის მცხოვრებლებსაც შეეხება შენიშვნა; იმათ შორის კი, რომელთა მოქმედებას კიცხავს კორესპონდენტი თავის შენიშვნაში, ასტყდება შფოთი და უკმაყოფილება, რადგანაც მათი მყუდროება შერყეულ იქნება და მათი მოქმედება გამოაშკარავებული; მათ მუქარებს და კბილთა კრაჭუნს არა აქვს საზღვარი და ვაი კორესპონდენტს; ასე თუ ისე მას გაუმწარებენ სიცოცხლეს, მეტადრე მაშინ როცა მოქმედება ხდება მიყრუებულ ადგილს და გაკიცხულთ აქვთ იმედი, რომ მათი ქცევა გამკიცხველისადმი დაფარულ იქნება და როცა კორესპონდენტს არა აქვს არავითარი საშუალება თავისი პიროვნების და ნაწერის დასაცველად, გარდა გაზეთის შემწეობისა და საკუთარის რწმენისა თავის სიმართლეში. ამ გვარ შემთხვევაში გაკიცხულთ მოქმედება ყოველგან და ყოველთვის ერთი და იგივეა; საზოგადოდ მათ შველის წყვდიადი, რომელიც მათთვის შეადგენს საიმედო ფარ-ხმალს, და დრო-გამოშვებითი მწერლობის შევიწროებული მდგომარეობა.

ამის შემდეგ ცხადი იქნება მკითხველთათვის, რომ ზემოთ მოხსენებული კორესპონდენციები საჩხერიდამ გამოიწვევდენ უკმაყოფილებას ზოგიერთა შორის. სწორედ ასე მოხდა. ერთ ვიღაც მოხელეს, სახელდობრ ბ. ჩხეიძეს, ეცნო საკუთარი სახე კორესპონდენციებში და განძრახა თავისი თავმოყვარეობის გამკიცხავის ჯეროვანად დასჯა. ამ «პატიოსანს» გვამს ჰქონდა რამდენიმე საშუალება თავის გასამართლებლად: მაგალითად, მას შეეძლო მიემართა სასამართლოში და იქ დაეცვა თავის სიმართლე და გამოეაშკარავებინა კორესპონდენტის უსინიდისობა და სიცრუვე; მასვე შეეძლო გაემართლებინა თავი იმავე გაზეთის შემწეობით, რომელშიაც იყო გაკიცხული, თუ რომ საფუძვლიან საბუთებს წარმოადგენდა თავის გასამართლებლად. გარდა ამისა, მას შეეძლო მოლაპარაკებოდა და შინაურობაში თავის გამკიცხველს და დაერწმუნებინა იგი თავის სიმართლეში; მაშინ კორესპონდენტი იძულებული იქნებოდა გაესწორებინა თავის შეცდომა და ამით მოხელე ჩხეიძის თავ-მოყვარეობა სრულიად დაცული იქნებოდა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველი გონიერი, თავისი და სხვისი პატივისმცემელი კაცი, ერთის სიტყვით, ყოველი რიგიანი ადამიანი მოიქცეოდა ისე, როგორც ზემოთა ვსთქვით. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ გვარი ზნეობითი წესები არ არსებობენ იმ გმირთათვის, რომელთა რაზმს ეკუთვნის ჩხეიძის მსგავსი მოხელე; ამ გმირთათვის სასამართლო შეადგენს საძულველ დაწესებულებას; ან და რად ეჭირვებათ მათ სამართალი, როცა სიტყვები: სიმართლე, სასამართლო, სამართალი სრულიად ეწინააღმდეგებიან მათს ზნეობითს თვისებებს, როცა თვითონვე შეუძლიანთ ყოველივე ზნეობითი კითხვა გარდასწყვიტონ ერთის მუშტის მოქნევით? რათ ეჭირვებათ მათ გაზეთი, ან რისთვის უნდა მიჰმართონ მის შემწეობას, როცა მწერლობა მიაჩნიათ მავნე და ფუჭ ხელობათ, რომელიც მათ ძილს უფრთხობს და მეცადი-

ბა, უკანონობა საქმის წარმოებაში, რომელიც გლეხ-კაცობას მთავარ გონებას უბნევს და მიმართავს მას სხვა პირებისადმი, რომელთაც ამ შემთხვევაში არა ეკითხვით-რა. Თვით მოხელეებისათვის რა ზარალი მოაქვს ამ უცოდინარობას, საქმის უგზო-უკვლოდ წარმოებას, სჩანს, სხვათა შორის, იმ ფაქტიდგან, რომ ოლქის სასამართლოები სავსენი არიან იმ გვარი საქმეებით, რომელნიც შეიცავენ სოფლის მოხელე პირების უკანონოდ მოქმედებას. Ხშირად ჰხედავთ, რომ მოხელე სამართლის მსხვერპლია უცოდინრობის მიზეზით და უფრო ხშირად კიდევ, რომ იგივე მოხელე—უბრალო იარაღია რომელიმე გაიძვერა და სინიდის-მიხდილ მწერლის ხელში. Რაც უნდა ბევრი ნაკლულევანება ჰქონდეს აწინდელს თვით-მმართველობას, რაც უნდა მავნებელი პირობებით მოცული იყოს იგი, მაინც იმდენს ზარალს და ბოროტებას არ მოიტანს, თუ კი ხალხს ეცოდინება თავის უფლება, თვით-მმართველობის კანონები. Ამ სენის მოსპობა ძალიან ადვილად შეიძლება. Საჭიროა ასწავლონ თვით-მმართველობის კანონები სასოფლო სკოლებში, სადაც ეს უკანასკნელნი არსებობენ და სადაც არა—იქ მღვდლებმა მოჰკიდონ ხელი ამ სამღვთო მოვალეობას, რომლის აღსრულება მათთვის დიდს ტვირთს არ შეადგენს. Ერთიც და მეორეც შეიძლება მოხდეს მაზრის უფროსის თაოსნობით. Მაგრამ იქმნება მიპასუხონ, რომ სოფლის მასწავლებელი და მღვდელი ვერ შეასრულებენ ამ მოვალეობას, რადგანაც კანონების სწავლებას სპეციალური მომზადება უნდაო. Უსაფუძვლო პასუხია მისთვის, რომ სოფლის თვით-მმართველობა მეტად ადვილი შესასწავლია ყველასთვის, რადგანაც მარტივი შინაარსი აქვს და ადვილ ენაზე დაწერილია; აქ სპეციალური მომზადება სრულებითაც არ არის საჭირო.

Ერთს მოვლენას კიდევ უნდა მივაქციოთ ყურადღება. Როგორც ზემოდ ვუჩვენეთ, ამორჩევის დროს ხშირად ბევრნი უარს აცხადებენ და ამბობენ არც მამასახლისობა გვინდა და არც მსაჯულობაო. Ეს გარემოება, რომელიც ხელს უწყობს ნაჩვენებს... კანდიდატურას, მრავალი მიზეზებით უნდა აიხსნას და მათ შორის უმთავრესად იმას ასახელებენ, რომ მოხელე უსასყიდლოდ უნდა ემსახუროს საზოგადოებას და ბოლო დროს წყევლის მეტი არა დაიმსახუროს-რაო. Ამ უკანასკნელს მიზეზს თავისი შესაწყნარებელი საბუთები აქვს. Მოხელეობა და მასთან შეერთებული ბევრჯერ უსიამოვნო ჯაფა და შრომა ითხოვს მოხელესაგან პირადის სარგებლობის დავიწყებას და ამას ძნელად მოვთხოვთ განუვითარებელს გლეხს, რომელიც, რაც უნდა იყოს, მაინც ჯერ ისევ მონაა თავის პირადის სარგებლობისა. Თუ მრავალი განათლებული გვამი ზანტობს უფულოდ ერთი პატარა წერილი მიაწოდოს ჩვენს ღარიბს ჟურნალ-გაზეთებს, მაშ გლეხკაცი რაღა გასამტყუნარია. Გლეხკაცი თავის გარეშემო ჰხედავს, რომ ყველა მოხელეს ჯამაგირი ეძლევა, მხოლოდ იმისათვის კი არა ემეტებათ-რა. Გლეხ-კაცს ჯილდოდ როდი მიაჩნია «ბეჭდის დასასმელი» და სხვა რაღაცაები; იგი ითხოვს ჯამაგირს, საფასს შრომისათვის და ვინ იტყვის, რომ ეს თხოვნა უკანონო იყოს. Ეს თხოვნა მით უფრო შესაწყნარებელია, რომ ძველადგანვე გლეხ-კაცობას ძვალში და რბილში გამჯდარი აქვს ჩვეულება, რომლის ძალითაც ყველა შრომას სასყიდელი უნდა მიეცეს. Ძველ საქართველოში ყველა თანამდებობას თავის შემოსავალი ჰქონდა და თუმცა ფულით ჯამაგირი ცოტა ეძლეოდა მოხელეს (მაგ., მსაჯულთ უხუცესს სვიმონ Ლეონიძეს Ერეკლემ წელიწადში რვა თუმანი ფული დაუნიშნა; შემოსავალი სხვა იყო), მაგრამ შემოსავალი დიდი ჰქონდა. Ახლა კი სოფლის მოხელე ერთსაც მოკლებულია და მეორესაც. Ბევრგან ჩვეულებათ არის დარჩენილი სოფლის მოხელეების «პატივისცემა», სამსახური, მაგრამ ამას ეხლა კანონი უკრძალავს და «პატივისცემის» მიღებისათვის მოხელეს სჯიან. Კანონი ეწინააღმდეგება ჩვეულებას და ჩვეულება მაინც თავისას არ იშლის. Აქედგან აშკარად სჩანს, რომ ხალხის შეხედულება საზოგადობრივ სამსახურს ამყარებს ეკონომიურ ნიადაგზე და ყოველ მოღვაწე პირისათვის ითხოვს შრომის შესაფერს ფასს და ჩვენ ნება არა გვაქვს გვერდზე აუაროთ ხალხის ამ გვარ შეხედულობას. Გარდა ხსენებულის ჩვეულობისა, სხვა საბუთებიც მოიპოვებიან იმის დასამტკიცებლად, რომ სოფლის მოხელე ისევე ღირსია თავის შრომის საფასისა, როგორც ყოველივე სხვა მოხელე და მეტად სასარგებლო იქნებოდა, რომ ამ კითხვას ყურადღება მიაქციონ და მალე დააბოლოვონ.

Ზემოდ ნაჩვენებს მოვლენას ერთი ფრიად საყურადღებო მიზეზი წინ-უძღვის—სოფლის მოხელის პიროვნული დაჩაგვრა, მისი არა-სანატრელი ადგილი საზოგადოდ სამსახურის იერარქიაში. Ცნობილია, რომ მთლად სახელმწიფო და საზოგადობრივი სამსახური აშენებულია იერარქიულად და სოფლის მოღვაწე პირთა მეტად მცირე ადგილი უჭირავთ იერარქიულ შენობაში. Ამბობენ ეს საზოგადო მოვლენაა ბიუროკრატიული წეს-წყობილებისა. Როგორც უნდა იყვეს, ეს კია, რომ აწინდელი მამასახლისის და სოფლის მსაჯულის პიროვნება დამცირებულია არა თუ მარტო ფორმალურად, კანონით, არამედ უფრო დაჩაგრულია ცხოვრების სინამდვილით, კანონის უარყოფობით. Ვინც გინდათ აიღეთ, ყველა სოფლის მოხელეს უშტიალებს და რამოდენი ფაქტებია, რომ ჩაფარიც კი დაუსჯელად... ჰქელავს ყოვლად სულ-გრძელს მამასახლისს. Აწინდელი სოფლის მოხელე დამფთხალია, შეშინებული, დაუცველი პიროვნული ღირსების შეურაცხყოფისაგან. Ამისთვისაც იგი მოკლებულია ყოველ-გვარ თაოსნობას და მოძრაობს მხოლოდ შიშის ძალით და ძველი აფორიზმი «შიში შეიქმს სიყვარულს», ვგონებ არსად არ არის განხორციელებული ისე მკაცრად, როგორც სოფლის მოხელეების შესახებ. Ამისათვის პატიოსანი და თავ-მოყვარე გლეხი ხელს არა ჰკიდებს სოფლის სამსახურს, არ შორდება თავის კერას, ამისთვისაც სოფელს განაგებენ უფრო ისეთნი პირნი, რომელნიც მიხდილნი არიან... გონივ-

ნობს მათი გმირული საქმეების მატიანე შეადგინოს? Რა საჭიროა მათთვის დალაგებითი მოლაპარაკება ვინმესთან შესახებ რომელიმე საქმისა, როცა სრულიად მოკლებულნი არიან მსჯელობის ნიჭსა და არ შეუძლიანთ რაიმეზე წარმოსთქვან ორიოდე შეკავშირებული აზრი; ან და როგორ უნდა იკადრონ მათ ლაპარაკი თავიანთ გამკიცხველთან, მათ, რომელთაც აქა-იქ დაუკოსებიათ ორიოდე სირმის ნაგლეჯი?

Სწორედ ამ ნაირად ფიქრობდა ბ. Ჩხეიძე, როცა განიძრახა კორესპონდენტის დასჯა, მას ბევრი არა უფიქრია-რა; ხანგრძლივი ფიქრიც არ ეჭირვებოდა მას; აბა რა დიდი მოსაზრება უნდა კაცსა იმისათვის, რომ ვისმეს სცემოს და ტყეპოს; რაიმე მოსაზრება რომ საჭირო იყოს ამ შემთხვევაში, მაშინ ნაგაზი ძაღლებიც კაცზე უფრო გონიერი გამოდგებოდა. Ჩხეიძემ აილო ეჭვი ერთს ვინმეზედ, სახელდობრ Იურკევიჩზე, და ერთს მშვენიერს დღეს აირჩია დრო და გაბრაზებული მხეცივით ეცა Იურკევიჩს. Ჯერ თვითონაც კარგათა სცემა, მერმე სალდათები მოიხმარა, ვითარცა უფლებით მოსილმა. Საცოდავი Იურკევიჩი სულ წვერებით ათრიეს ქუჩა-ქუჩა, დააგლიჯეს ტანსაცმელი, გრძნობა მიხდილი Იურკევიჩი ძლივს დაბრუნდა სახლში. Რასაკვირველია, Იურკევიჩმა, ვითარცა კაცმა «განიძრახა თავის ღირსების დაცვა». Იქ, საჩხერეში, ვერა ჰპოვა შემწეობა და, როგორც ეკადრება მართლადაც პატიოსანს კაცს, მიმართა საჩივრით მთავრობას და გაზეთებს. Გაზეთებმა გვაცნობა Ჩხეიძის მხეცური მოქმედება; მთავრობამ მოახდინა მსუბუქი ადგილობრივი გამოძიება; მაგრამ საქმე შეჩერდა. Რაღაცა მანქანებით ამ საქმეს ზეწარი გარდაეფარა; მხოლოდ ქართული გაზეთებიდგან Ჩხეიძის გმირობის ამბავი გარდაბეჭდეს რუსულს გაზეთებში და საქმე ამით გათავდა. Გაზეთების ცნობა დაურღვეველი დარჩა, და ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ Ჩხეიძეს მართლაც ჩაუდენია «მამაცური მოქმედება» შესახებ თავის მსხვერპლისა და თავისი გრძნობა და თავმოყვარეობა სრულიად დაუკმაყოფილებია.

Მთელმა სოფელმა ხმა გაკმინდა და ერთი არავინ გამოჩნდა იმისთანა, რომელსაც შესძლებოდა ხმის ამოღება იმ გვარ შემაძრწუნებელ საქმეზე. Საჩხერე ეკუთვნის Იმერეთში «განათლებულ» სოფელთა რიცხვს; იქ მოიპოვება ბევრი იმისთანა, ვისაც ქვეყანა უნახავს და ცოტაოდენი სწავლა მოსცხებია; იქა სახლობენ წარჩინებული გვარის წევრნი Იმერეთში, რომელნიც ყოველს საქმეში... თავს წამოჩრიან. Ბ. Იურკევიჩის საქმეზე კი არავინ მათგანმა ხმაც არ დასძრა და არ აღმოუჩენია შემწეობა მთავრობისთვის გამოძიებაში. Ან და რას დაეძებდენ ერთი ვიღაცა კორესპონდენტის შეურაცხყოფას.

Სწორეთ კარგი საქმე ვერ მოუვიდათ ბ.ბ. Თავადებს; ამ ვაჟბატონებს რუსთველის ნაანდერძევი უნდა მოავგონო: «Თუ კაცი თითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა». Დარწმუნებული ვართ, ყველა მათგანს, მეტადრე მანდილოსნებს, გაცნობილი აქვთ «Ვეფხვის ტყაოსანი».

Ერთი სიტყვით ხმა არავინ დასძრა, გარდა «Შრომისა» და «Დროებისა». «Კავკაზის» რედაქციამ კი თავზე ხელი დაუსვა ბ. Ჩხეიძეს და მოიწონა მისი მოქმედება. Ალბად ასე იყო, რადგან «Კავკაზს» კრინტიც არ დაუძრავს ამ საგანზედ.

Ახლა, იმედია, მკითხველი წარმოიდგენს, თუ რა ძნელია კორესპონდენტის მდგომარეობა პროვინციაში და რა პატივსა სცემენ ჩვენში ნაბეჭდს სიტყვას, ისიც წარმოსადგენია, თუ რა გონების და ზნეობის პატრონნი ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი. Ამ ვვარი გარემოება, რასაკვირველია, ცუდათ მოქმედებს ხალხის და საზოგადოების ყოფა-ცხოვრებაზე და გამოიწვევს განხეთქილებას და დაუნდობლობას სხვა-და-სხვა წრეთა და წოდებათა შორის.

Ისეთი საქმეთ წყობილება ფრიად სასარგებლოა ზოგიერთთათვის, რომლებიც ცდილობენ გარშემო წყვდიადი დაიცონ და მით თავის პირად ინტერესებს გაუწიონ სამსახური.

Იურკევიჩის შეურაცხყოფის ცოტა ხნის შემდეგ სოფელს Ჩხარში სოფლელებმა გარდაწვეს სასოფლო სკოლა; ეს ამბავი არაფრით არ ჩამოუვარდება ზემოთ აღწერილ ამბავსა. Სწორეთ შემაძრწუნებელი საქმეა გარდაწვა სწავლის ტაძრისა, მეტადრე იმისა, რომელშიაც იზრდება და სწავლულობს თქვენივე შვილი. Მიზეზი მაგგვარ ფაქტისა ისეთივე შემაძრწუნებელი უნდა იყოს, როგორც არის თვით ფაქტი. Რამ აიძულა სოფლელები სკოლის გარდაწვისათვის? Ნუ თუ მათ არ ესმისთ წერა-კითხვის სარგებლობა და არა სურთ თავიანთი შვილების გამოზრდა? Არა, ყოველივე ესე შეუძლებელია, რადგანაც ჩვენს ხალხს საზოგადოთ საკმარისი სურვილი აქვს სწავლისა, მაგრამ სკოლის გარდაწვა მაინც შესაძლებელი შეიქმნა.

Ჩვენ ის კი არ გვიკვირს, რომ სკოლა გარდაწვეს; არა, ჩვენ გვიკვირს, შეგირდები და მასწავლებელი

როულს თავ-მოყვარეობას . . . ამ გვარი მოვლენა ის შედეგი ცხადია ყველასათვის და დიდს განმარტებას არ ითხოვს. ძველ საქართველოში, ამ მოვლენას ადგილი არ ჰქონდა. იქ სოფლის მოხელეს დიდი პატივი ჰქონდა, მის პიროვნულ თაოსნობას დიდი სარბიელი ჰქონდა შემოხაზული; ასე გასინჯეთ, თვით მეფეც კი თავის ხელით სწერდა ბძანებას მამასახლისს . . . თქვენ იტყვით, რომ მაშინდელი სახელმწიფო სხვა იყოვო, მარტივი, მოშორებული ბიუროკრატიულს და ცენტრალიზაციის ხასიათს, ეხლა სხვა არისო. ჩვენც ვიცით, რომ ეხლა სხვა დროა, სხვა წეს-წყობილება, რომელსაც იქმნება თავისი შესაწყნარებელი საბუთები ჰქონდეს, მაგრამ ჩვენ ხომ ამაზე არა ვლაპარაკობთ. ჩვენ ვამბობთ მხოლოდ იმას, რომ ასეთის თუ ისეთის საშუალებით სოფლის მოხელეს პიროვნული ღირსება უნდა ამაღლდეს, მის თაოსნობას ფართო ადგილი შემოეზღუდოს; მაშინ შეიქნება მოხელე მომქმედ, ცოცხალ პირათ, არსებათ . . .

ბევრს უშლის თავის მოქმედობაში აწინდელს მამასახლისს ისიც, რომ ეს თვით-მმართველობის წარმომადგენელი მეტად მძიმედ არის დატვირთული სხვა-და-სხვა გვარი საქმეებით; რა გნებავთ რომ მამასახლისს არ ეკითხებოდეს, არ შეეხებოდეს. ყველა მას მიმართავს, ყველას მასთან აქვს საქმე და როდესაც აკვირდებით ამის თანამდებობას, თვალ-წინ გეხატებათ მოჩორაზე მომავალი დაზურგული რაჭველი, რომელიც აი ეს არის დაიჩოქებს და კურტანის ქვეშ გაიჭყლიტება. კიდევ კარგი, რომ ამ შეუბრალებელს მარტო სოფლის საქმეები ებაროს, მაგრამ უბედურებაც იმაშია, რომ იგი როგორც სოფელს, ისე მრავალ სხვებსაც ეკუთვნის. ამ თანამდებობის განუსაზღვრელობისაგან, გაურკვევლობისაგან წარმოსდგება, რომ მამასახლისი ვერც ერთს საქმეს ხეირიანად ვერ ასრულებს და არც შესაძლოა აასრულოს. თუ შრომის განყოფილება დედა-ძარღვია აწინდელი ჩვენის ცხოვრებისა, მაშ რატომ იგივე არ არის აღიარებული საზოგადოდ პოლიციის შესახებ და განსაკუთრებით მამასახლისისა? მაგრამ, როგორც სწერენ და ხმები ისმის, პოლიციური უწყების გადაკეთება სწადიან მთავრობას. ვნახოთ, რა იქმნება. მაკია, რომ მამასახლისი ეხლა საშუალებას მოკლებულია სოფელს პატრონობა გაუწიოს. თუნდაც რომ უნდოდეს, მას სოფლისათვის ხშირად არა სცალიან. ბევრჯერ ფიქრიც კი არ შეუძლიან სოფელზე, ის მეტად გონება დაბნეულია თავის მრავალ-გვარ თანამდებობისაგან. დიაღ, საკვირველი ვინმეა აწინდელი მამასახლისი—ის ერთსა და იმავე დროს ყველაც არის და არავინც.

ნ. ურბნელი.

10 აგვისტოს.
გორი.

## შინაური ქრონიკა

ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ სასულიერო გაზეთის «მწყემსის» ცენზორად ყოვლად უსამღვდელოესს, იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელს, დაუნიშნავს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ზ. ი. სანებლიძე.

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ანჩისხატის ეკლესიაში, ლამისთევის დროს, დაკარგულა მშვენიერი, ხელოვნურად ნაკეთები და ძვირფასი ქვებით მოჭედილი, ჯვარი და კიდევ ერთი ძვირფასი თვალი, რომელიც აუგლეჯიათ ღვთისმშობლის ხატისთვის. ამბობენ, ვითომც ეს ნივთები დაიკარგა იმ დროს, როცა ხალხი ეკლესიაში შეგროვდა წვიმის გამო და ხატებთან მისულიყვნენ სამთხვევლად.

სენაკის მაზრის სოფელ კოდორიდგან კორესპონდენტი გვატყობინებს იმ ბოროტ-მოქმედებას, რომელიც ამ მოკლე ხანში ჩაუდენია იქაურ უფროსს ხევის-თავს; კოდორის ერთს მცხოვრებს ჩამოუტანა სოფელში ფოთიდგან ნაქურდალი ნივთები, რომელნიც, როგორც აღმოჩნდა, ეკუთნოდნენ ჩაჩავას და გვიჩიას. ჩაჩავა დროზედ დასდევნებოდა ქურდს და თავის გასაჭირი შეატყობინა ხევის-თავს. ამ უკანასკნელმა მოძებნა დამნაშავე და მოპარული ნივთებიც. დამნაშავემ მოინდომა მორიგება ჩაჩავასთან და სთხოვა შუამდგომლობა ხევის-თავს, რომელმაც თავის შრომის სასყიდელი მიიღო ნაქურდალი ნივთებიდგან. ჩაჩავამ ჩაიბარა ნივთები და დაკმაყოფილდა; გვიჩიას ნივთები კი არავის მოაგონდა; რა მოუვიდა გვიჩიას ნივთებს, კარგათ მოეხსენება ქურდს და ხევის-თავს. ბოლოს გამოჩნდა გვიჩიაც, მაგრამ ვერა გაარიგა რა, რადგანაც ნივთები უკვე გარდამალულნი იყვნენ; გვიჩია თხოულობდა, რომ ქურდი მთავრობისთვის წარედგინა ხევის-თავს, მაგრამ ეს არ დასთანხმდა. ამ გვარი საქმის მომქმედი ხევის-თავი, როგორც გვწერს კორესპონდენტი, დანიშნულია ძველი პატიოსანი ხევის-თავის მაგიერ ზ. მაზრის უფროსის განკარგულებით, თუმცა ხევის-თავების ამორჩევის და დანიშნის უფლება სოფლის მცხოვრებლებს ეკუთვნის.

შორაპნის მაზრის სოფელ სკანდიდგან გვწერენ საჩივარს ქუთაისის გუბერნიის არხიტექტორზე, ზ. ლენჩევსკიზე. აი, საქმე რაში მდგომარეობს: ამ წლის დიდმარხვაში სკანდის მცხოვრებლებს ამოურჩევიათ რამდენიმე პირი, რომლებსაც მიურთმევიათ თხოვნა იმერეთის ეპისკოპოზისათვის ეკლესიის აშენების შესახებ. ეპისკოპოზს, რასაკვირველია, პლანი მოუთხოვა. სოფლის წარმომადგენელთ მოუძებნიათ პლანის შემდგენი. შემდეგ, როცა ისინი დარწმუნდნენ, რომ საქმე ვერ გაკეთდება გუბერნიის არხიტექტორის დაუკითხავათ, მიუმართავთ ზ. ლენჩევსკისთვის. ლენჩევსკი დაპირებია სოფლელებს, სკანდეში უსათუოდ ჩამოვალო და პლანსაც მოგცემთო. მას აქეთ კარგი ძალი ხანი გაიარა, მაგრამ ლენჩევსკი არსადა სჩანს, თუმცა ამ დროის განმავლობაში არა ერთხელ გაუმეორებს მას სოფლელებმა თავიანთი თხოვნა, სოფლელებმა ზ. ლენჩევსკის წყალობით მარჯვე დრო გაუშვეს ეკლესიისათვის საჭირო მასალის საზიდავათ და დღესაც უცდიან ზ. ლენჩევსკის მობრძანებას. საჭიროა, ვისიც ჯერ არის, მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და შეწყნარებულ იქმნეს სოფლელების თხოვნა და სურვილი, თორემ ლენჩევსკიზე სოფლელებს იმედი დაუკარგავთ, რადგანაც მან თავის სიტყვა და პირობა ვერ შეასრულა. ამის შესახებ ზოგი სოფლელები გვწერენ: «არ გვეგონა თუ ნასწავლი კაცი ტყუილის თქმას იკადრებდაო.»

სვანეთიდგან კორესპონდენტი

---

როგორ არ გამოიწვევს ერთიანად სკოლის სადგომში და ამ გვარად არ მოუღებს ბოლოს სკოლას... ჩვენ დაწვრილებით არ ვიცით ჩხარის სკოლის გარდაწყვის მიზეზები, მაგრამ შეგვიძლია ვიქონიოთ მსჯელობა საზოგადოთ მაგ რიგის მოვლენაებზე; მაგგვარ მოვლენათ ჩაითვლება, სხვათა შორის, ზოგიერთა ადგილებში სკოლის გახსნაზე უარ-ყოფა სოფლელებისაგან, ალაგ-ალაგ გულგრილობა სკოლისადმი და საზოგადოთ დაუნდობლობა და ეჭვიანობა ესრეთ წოდებულ «განათლებულებისადმი». აბა, მითხარით, მკითხველო, რა აზრი და გრძნობა უნდა აღიძრას ხალხის გონებაში და გულში ბბ. ჩხეიძეებისთანა კაცების შემხედვარე? განა მაგგვარ კაცთა აზრების არევ-დარევის წყალობით «განათლებულებსა და ნასწავლსა» არ უწოდებენ ხალხში? განა მაგგვარი «განათლებულნი» თავისი მოქმედებით სიმძულვარის და დაუნდობლობის მეტს რასმეს დაბადებს ხალხში? გასაკვირველი ის არის, რომ ხალხის სიმძულვარეს და დაუნდობლობას «განათლებულებისადმი» აშოშმანებენ ხალხის სულგრძელობა და მომთმენლობა... სწორეთ საოცარია ესრეთი საქმეთ წყობილება, და ჩვენდა უნებურათ ენაზე გვადგება პოეტის სიტყვები: «ვაჰ სოფელო, რაშიგან ხარ, რა გაბრუნებს, რა ზნე გჭირსა».

ზემოთ ვეცადეთ წარმოგვედგინა მკითხველებისთვის ზოგიერთი მწუხარე მოვლენები ჩვენი ხალხის და საზოგადოების ცხოვრებიდგან; ისიც ვუჩვენეთ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება მწერლობის მუშაკი, მოქცეული შორეულსა და გაუნათლებელს წრეში. ეხლა, მკითხველო, ნება მომეცი, ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ იმაზე, თუ რა ყოფაშია ჩავარდნილი მწერლობის მოღვაწე, ჩვენი განათლების შუაგულ ადგილში მომქმედი. ამ უკანასკნელ დღეებში ჩვენ დავასაფლავეთ «დროების» ძველი რედაქტორი სერგეი მესხი, რომელიც თოთხმეტის წლის განმავალობაში ერთგულათ და დაუღალავათ შრომობდა ჩვენი მწერლობისათვის. აქ ჩვენ არ განვიხილავთ მის მოღვაწეობას, რადგანაც ეს საქმე ქართულის მწერლობის მომავალი ისტორიკოსის საქმეა და არა ჩვენი—სერგეი მესხის მემკვიდრეთ მწერლობაში. ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ იმაზე, თუ რა საძნელოა ჩვენში მწერლის და მეტადრე რედაქტორის მდგომარეობა. განსვენებული სერგეი მესხი მამაცურად მოღვაწეობდა, თუმცა თავის სიცოცხლის დროს ჩვენი საზოგადოების მცირე ნაწილში ჰპოვებდა თანაგრძნობის; ამ წრის გარეშე მას უსიამოვნობის მეტი არა რგებია-რა: არც პატივისცემა, არც მატერიალური კეთილ-დღეობა, არც მოსვენება, რომელიც მან მხოლოდ სამარეში იპოვა. მისი სიცოცხლის შემოკლების უმთავრესი მიზეზი იყო მარტო ძალაზე გარდამეტებული შრომა კი არა, არამედ გარშემო საზოგადოების გულ-გრილობა და ზოგიერთთა ბარბაროსობა, რომელთაც მართალის და პატიოსანის სიტყვის მეტად ეშინიანთ, ვინემ სიკვდილისა და ჯოჯოხეთის გენიისა. ამაზე დამეთანხმება ყველა, ვინც განსვენებულს იცნობდა; სერგეი მესხი იმოდენათ შრომის მოყვარე და ჯან-მრთელი კაცი იყო, რომ ის კიდევ მრავალს წელიწადს გაუძლებდა ძალა-გარდამეტებულს შრომას; ის გულის სენი, რომელმანც მოუღო ბოლო მის ახალ-გაზდობას, იყო შედეგი პატიოსანი გულის განუწყვეტელი მღელვარებისა და მწუხარებისა; ტანჯვის და მწუხარების გარდა მას არა რგებია-რა თავის სიცოცხლეში. როცა მტერათ იქცა პატიოსანი მშრომელი, მხოლოდ მაშინ მიხვდა ჩვენი საზოგადოება, თუ რა კაცი იყო განსვენებული.

არა, მკითხველო, ეხლა მოიფიქრეთ, თუ როგორია ჩვენში პატიოსან მოღვაწეთ მდგომარეობა და რა ბედი მოელის მათ? არ ვიცით დაბეჯითებით, თუ რას ჰფიქრობ და გრძნობ, მკითხველო, შენ ამისთანა გარემოებათა შემხედვარე; ჩვენს გულში კი ზეცისადმი შემდეგი ვედრება დუღს:

«მომეც სიმხნე და დამლოცე,
ვით სიმართლის მეომარი,
გულს აღმინთე ცეცხლი მწვავი,
სიკვდილამდის უშრეტარი,
შემაძულე სამძულველი,
მასთან ბრძოლა მიჩნდეს არად,
შემაყვარე საყვარელი,
მას ვადიდებ ათას გვარად!
სიყვარულის ნაზ გრძნობასთან
შხამით სავსე მომეც ენა,
მოუწამლო მჩაგვრელს ღვიძლი,
ნასისხლარზე ცეკვა-ლხენა».

ვისაც კი ამ ლექსებში პოეტურათ გამოხატული სურვილი არ უტრიალებს გულში, მან, სჯობს, განაგდოს ხელთაგან კალამი და განვიდეს ამა სოფლიდგან უიმედო, გრძნობა და გონება გამქრალი.

ა. ნა—ლი.

(შემდეგი იქნება).

გწერს, რომ სვანეთის საპრისტავოში თუმცა მომრიგებელი სასამართლო ირიცხება, მაგრამ ზ. მოსამართლე, როგორც აღმოჩნდა, თავის ადგილზე მხოლოდ ორი თვის განმავლობაში იმყოფება, დანარჩენს ათ თვეს კი სხვაგან ატარებს. მომრიგებელ მოსამართლეს, ზ. ტატიევს, ამ ორი წლის წინედ თითონ მოუხსენებია მთავრობისათვის, რომ ზამთრობით სვანეთში არავითარი საქმე არა აქვს მოსამართლესო და ამისთვის მისი იქ ყოფნა საჭირო არ არისო. ხალხი კი სულ სხვა აზრისა ყოფილა და სამართლიანათ ფიქრობს, რომ ზამთრობით მეტი დანაშაულობა, ქურდობა და ავკაცობა ხდება, ვინემ ზაფხულობით. ყოველს ზამთარში მრავალ ხალხს იბარებენ ლეჩხუმის მაზრის სასამართლოში, ლაილაშში. საცოდავებმა სასამართლოში მისვლამდე უნდა გარდაიარონ მაღალი და გაყინული მთები, გამოსცადონ სასტიკი სიცივე და შიმშილი. ამისათვის ხალხს მიუმართავს პრისტავისათვის, ზ. მარჯანოვისთვის, რომელსაც სთხოვა იშუამდგომლოს მთავრობასთან სასამართლოს ერთს ადგილზე დაფუძნების თაობაზე მთელის წლის განმავლობაში. მარჯანოვი დაპირებია ხალხს შუამდგომლობას მთავრობასთან და ხალხს იმედი მისცემია, რომ მისი კანონიერი თხოვნა შეწყნარებული იქმნება მთავრობისგან. გარდა ამისა, კორესპონდენტი გვწერს, რომ სვანეთის საზოგადოებათა უმრავლესს ნაწილს გამოუცხადებია მარჯანოვისთვის სკოლების გახსნის საჭიროება და სურვილი.

## რუსეთი

— გაზ. «Русскій Курьеръ»-ში ვკითხულობთ, რომ გზათა მინისტრს შეუტანია სახელმწიფო რჩევაში განსახილველად შემუშავებული წესები, რომლების ძალითაც რკინის გზების საზოგადოებები ვალდებულნი ხდებიან დააწესონ პენსიის კასები თავის მუდმივი მოსამსახურე პირებისთვის და მათი ქვრივების და ობლებისთვის. ამასთანავე ყველა რკინის გზის საზოგადოებები ამ წესების ძალით მოვალენი არიან სამსახურიდამ დათხოვნილს მუდმივ მოსამსახურე პირებს აძლიონ ერთბაშად ორის თვის ჯამაგირი მაინც, თუ მათი სამსახურიდამ დათხოვნა რკინის გზების შტატების შემოკლებისგამო მოხდება.

## უცხოეთი

— შუა ამერიკიდამ იწერებიან გაზეთებში, რომ იქ წარსულს ივნისში ომეტეპეკის კუნძულზე, რომელიც ნიკარაგუას ტბაში იმყოფება, ისეთი საშინელი ვულკანური აღმოხეთქა მომხდარა, რომ იქიდამ ამოსულს მიწის ნადუღს (лава) კუნძული მთლად წაულეკია, ღელეები სულ აუვსია, სახლები, შინაური პირუტყვები და პურით დათესილი მინდვრები ქვეშ მოუტანია. აღმოხეთქა დაწყებულა 19 ივნისს; ამ დროს მთა ერთს ახალს ალაგას გახსნილა, იქიდამ განუწყვეტელის მიწის ძვრის დროს ამოფეთქილა საშინელი მიწის ნადუღი და პირ-და-პირ ლაპილასზედ წასულა. ორის დღის შემდეგ კიდევ ბევრი სხვა მთის წვერებიც გახსნილა და მიწის ნადუღი ყოველს მხარეს მოჰფენია, ასე რომ ამ უბედური კუნძულის მცხოვრებლებს შიშის თავზარი დასცემიათ და აქეთ-იქ გაფანტულან. გრენადიდგან, რივასიდგან და სხვა ქალაქებიდამ, რომლებიც ტბის ნაპირებზედ არიან, ნავებით მოეშველებიან უბედურებს. რამოდენიმე მცხოვრები ავარდნილა მთის წვერზედ, რომელსაც გარეშემო სულ მიწის ნადუღი შემორტყმია და მხოლოდ წვერიღა დარჩენილა თავისუფალი. ვეღარა ღონისძიებით ვერ უშველიათ მცხოვრებლებისათვის და უბედურნი დაღუპულან საშინელის სიკვდილით.

— პრუსიის მმართებლობას აღმოსავლეთის მაზრებში, რუსეთის საზღვრისკენ, დაუსრულებია რკინის გზების კეთება, რომელთაც სტრატეგიული მიზანი აქვსთ.


## განცხადებანი

### ი. ა. მელიქ-ბეგლიაროვის
### ვერძო რეალურ სასწავლებელში
**(თბილისი, ბარონის ქუჩა, სახლი № 10)**

დამატებითი და მისაღები ეგზამენები დაიწყობა 23 აგვისტოს, სწავლა კი 1 სეკტემბერს. სასწავლებელში ოთხი ნორმალური კლასია, აგრეთვე **მოსამზადებელი კლასი და კლასიკური განყოფილება.** მოწაფენი მიიღებიან პანსიონერებათ, ნახევარ პანსიონერებათ და თავისუფალ მოსიარულებათ. (10—8)

## ინგლისის მაღაზია
**Maison de confiance**

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—23)

## სტამბა
### ეფიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორრეკტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе. (100—13)

ინგლისის მაღაზიაში



### თმის-ამომყვანი
ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—28)

### მაკ-მასტერი
აქვე ისყიდება ქინის პომადი თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

საკლობუსო 

კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი საავენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის ,,ხელისათვის''—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, საღეჭი, ცარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხისათვის კლიონკები. ტაშტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შპოტები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქმე ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—69)

## მაზანდა
ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 16 აგვისტოდამ 1 სეკტემბრამდე 1883 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — —1 გირ. 5 კ.
აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— —1 გ. 3 კ.
მეორისა — — —1 გ. $2^1/_2$

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:
პირველის ხარისხის—1 გ. 5 კ.
მეორისა — —1 გ. $3^1/_2$
მესამისა — —1 გ. 3 კ.

ჯვარის-მამის პური:
პირველის ხარის. ლავაში 1 გ. 5 კ.
მეორის ხარის. ლავაში 1 გ. $3^1/_2$
მესამისა — —1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:
პირველის ხარისხის—1 გ. 8 კ.
მეორის — —1 გ. 7 კ.
სუკი . . . —1 გ. 15 კ.
ცხვრის ხორცი —1 გ. 7 კ.

## რკინის გზა
თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი,
თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.


Дозв. цензурою Тифлисъ, 18 Августа 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ზ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.